სატენდერო დოკუმენტაცია

შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ აცხადებს ელექტრონულ ტენდერს **A4 ქაღალდის შესყიდვაზე.**

დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის- www.tenders.ge საშუალებით

ტენდერი ჩატარდება ვაჭრობის გარეშე.

შესყიდვის ობიექტი:

პროდუქტი	რაოდენობა
A4 ფორმატის მაღალი ხარისხის თეთრი ქაღალდი	1700 შეკვრა

მახასიათებლები

A4 ფორმატის მაღალი ხარისხის თეთრი ქაღალდი, მაქსიმალურად გლუვი ზედაპირით;

ქაღალდი განკუთვნილი უნდა იყოს ლაზერული პრინტერებისათვის, ჭავლური პრინტრებისათვის, ასლგადამღები აპარატისათვის და ორმხრივი ბეჭვდისათვის.

დაცული უნდა იყოს სტანდარტით მოთხოვნილი ზუსტი ზომები;

ვარგისი უნდა იყოს ფერადი ბეჭდვისთვის;

წონა: 80 g/m2

სინოტივე: 3.0 – 4.0 %

სისქე: 104 – 110 µm

გაუმჭვირვალობა: >94%

სიკაშკაშე: 101 – 104%

სითეთრე CIE: 155 – 158

გადაწყვეტილების მიღებამდე სავალდებულოა პროდუქციის სატესტოდ მოწოდება.

მოწოდება უნდა განხორციელდეს 10 ეტაპად:
- I ეტაპი - 2021 წლის 3 მარტი - 170 შეკვრა;
- II ეტაპი - 2021 წლის 2 აპრილი - 170 შეკვრა;
- III ეტაპი - 2021 წლის 3 მაისი - 170 შეკვრა;
- VI ეტაპი - 2021 წლის 3 ივნისი - 170 შეკვრა;

- V ეტაპი - 2021 წლის 2 ივლისი - 170 შეკვრა;
- VI ეტაპი - 2021 წლის 3 აგვისტო - 170 შეკვრა;
- VII ეტაპი - 2021 წლის 3 სექტემბერი - 170 შეკვრა;
- VIII ეტაპი - 2021 წლის 4 ოქტომბერი - 170 შეკვრა;
- IX ეტაპი - 2021 წლის 3 ნოემბერი - 170 შეკვრა;
- X ეტაპი - 2021 წლის 3 დეკემბერი - 170 შეკვრა;

სატენდერო პირობები

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია (PDF ფორმატის ფაილები):

✓ **დანართი N1**- კომპანიის რეკვიზიტები;
✓ **დანართი N2**- ფასების ცხრილი
  - ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს ლარში, დღგ-ს და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
  - ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქციის ადგილზე მოწოდება;

✓ **დანართი N3**- განხორციელებული პროექტების და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი;

ტენდერის მსვლელობის დროს ტექნიკურ და ტენდერის პროცესთან დაკავშირებით კითხვებზე დაუკავშირდით:

ლელა ტყეშელაშვილი - +995 599 27 87 97; ltkeshelashvili@ddg.ge

შემოთავაზების მიღების ბოლო ვადაა 02/03/2021 15:00 საათი

- ტენდერში გამარჯვების კრიტერიუმია-ღირებულება და ხარისხი;

- განფასებაში შეცდომის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს;

- სატენდერო შემოთავაზებაში და ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასთა ცდომილების (სხვაობის) შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასს;

- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს უკეთეს ფასს და დააკმაყოფილებს სატენდერო ტექნიკურ მოთხოვნებს;

- ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტია ავანსად გასაცემი თანხის ოდენობით, ასევე შემოსავლების სამსახურიდან გაცემული შედარების აქტი, რომელშიც არ უნდა ისახებოდეს დავალიანება.

- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია.

- დამკვეთის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე; ასევე დამკვეთი იტოვებს უფლებას ტენდერი სცნოს ანულირებულად თუ ტენდერში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი კომპანია;

- სხვა დანარჩენი პირობები, შემდგომში გამყიდველსა და მყიდველს შორის გათვალისწინებულ იქნება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში.

მადლობა დაინტერესებისთვის.

გისურვებთ წარმატებას.